საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

მიმართვა

ასოციაციაში გაწევრიანების მსურველ ორგანიზაციებს და ინდივიდუალურ პირებს

ქალბატონებო / ბატონებო

საქართველო საბიბლიოთეკო ასოციაცია დაარსდა 2000 წელს. ასოციაცია არის კანონმდებლობით განსაზღვრული „კავშირის“ ტიპის არასამთავრობო ორგანიზაცია. იგი არ წარმოადგენს სამთავრობო სტრუქტურას, ამიტომ მისი საქმიანობის დაფინანსება ხდება არა ქვეყნის ბიუჯეტიდან, არამედ იმ წყაროებიდან, რომლებიც წესდებაშია მითითებული.

ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი პიროვნება ან ორგანიზაცია, რომელიც ცნობს ასოციაციის წესდებას და მიზნებს. წევრად მიღების წესები, მათი უფლება-მოვალეობები და წევრობის კატეგორიები განსაზღვრულია წესდებაში.

ასოციაციის წევრობა ნებაყოფლობითია. ასოციაციის წევრს აქვს ორი ძირითადი უპირატესობა:

1. “ეკონომიკური მხარე-ასოციაციის საქმიანობის შედეგად მიიღებს შეღავათიან ფასებში, მაგალითად, ასოციაციის მიერ გამოცემულ წიგნებს, ბროშურებს, ჟურნალებს და სხვა მისი წევრი ან ნაკლებ ფასად შეისყიდის, ან, საერთოდ , უფასოდ მიიღებს. ასოციაციის მიერ დაგეგმილ სასწავლო ტრეინინგების დასასწრებად მის წევრს ნაკლები გადასახადის გადახდა მოუწევს.

2. „საორგანიზაციო„ მხარე - ასოციაციის საქმიანობის შედეგად შემუშავდება ნორმატიული დოკუმენტები, სტრუქტურები, შესრულდება პროექტები და პროგრამები, ჩატარდება ღონისძიებები, რომლებიც შემდგომ, მეტად თუ ნაკლებად, შეეხება საბიბლიოთეკო-საინფორმაციო დარგში მომუშავე ყველა ორგანიზაციასა და პიროვნებას. ამიტომ, თუ ისინი დაინტერესებულნი არიან ამ საქმიანობაში აისახოს და გადაწყდეს მათი პრობლემები (და ამასთან ერთად ისე, როგორც ეს მათთვის იქნება უკეთესი), ისინი ამ საქმიანობაში უნდა ჩაებნენ და გაუძღვნენ (სხვა წევრებთან ერთად) სათანადო მიმართულებით. ამის საშუალებას იძლევა ის დემოკრატიული პრინციპები, რომლებიც ასოციაციის წესდებაში და სხვა დოკუმენტებში არის და იქნება ჩადებული.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან არსებული კონსორციუმის ძირითადი დანერგვის მიზანია ბიბლიოთეკებში საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა. საერთო ფინანსური მიზნები ამ შემთხვევაში გულისხმობს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის (პროგრამული უზრუნველყოფის) ერთობლივ შეძენას და ახალი საინფორმაციო მასალების (ძირითადად ელექტრონული პერიოდული გამოცემების) ერთობლივ ხელმოწერას.

განმარტებისთვის: აღნიშნული სისტემები საკმაოდ მაღალფასიანია და არც ერთ ბიბლიოთეკას არ შეუძლია მათი შეძენა. ერთობლივი შეძენის შემთხვევაში ყოველი კონსორციუმის წევრი - ბიბლიოთეკა იხდის საერთო ფასის გარკვეულ ნაწილს, რაც გაცილებით უფრო მომგებიანია ყველა მხარისათვის.

ხოლო 2013 წლის 20 ივნისს ჩატარებულ არჩევნებზე არჩეული გამგეობა კვლავ განაგრძობს ასოციაციის მისიის შესრულებას და სათანადო მოქმედებას საქართველოს ბიბლიოთეკების წინაშე არსებული პრობლემების ეფექტურად გადაჭრის მიზნით.

ასოციაციის მოქმედმა გამგეობამ დაადგინა შემდეგი ტარიფები ასოციაციაში გაწევრიანების მსურველთათვის.

ორგანიზაციის გაწევრიანების შემთხვევაში:

თუ ორგანიზაციის საერთო წლიური ბიუჯეტია

1. 0 – 50000 ლარამდე - საწევრო გადასახადი 30 ლარი (წელიწადში)
2. 50 000დან 200 000 მდე -50 ლარი (წელიწადში)
3. 200 000 დან ზემოთ - 100 ლარი (წელიწადში)

ინდივიდუალური საწევროს პირობებში:

1. ხელფასი 300 ლარამდე - საწევრო 20 ლარი წელიწადში (წელიწადში)
2. 300 დან 500 ლარამდე - 30 ლარი (წელიწადში)
3. 500 დან 1500 მდე - 50 ლარი (წელიწადში)
4. 1500 დან ზემოთ - 100 ლარი (წელიწადში)

წლის საწევრო გადასახადის დაფარვა უნდა მოხდეს 2015წლის ოქტომბრამდე.

პატივისცემით,

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი

რ. ასათიანი